ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე
გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ი. ბ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.07.2014
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 048/14
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ი. ბ. /სიითი № /
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ბ. – სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2014 წლის 18 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ბ. – მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ბ. – სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაში მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის წარმომადგენელია ი. ბ., რომელიც სასამართლოს აწვდის ცრუ ინფორმაციას. ი. ბ. – ის განმარტებით, ადვოკატმა წარმოადგინა ყალბი ხელწერილი, რითაც შეცდომაში შეჰყავს მოსამართლე და მატერიალურ ზიანს აყენებს ი. ბ. – ს.

1.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულ ხელწერილში მითითებულია, რომ თითქოს მან მოვალისაგან - პროცესუალური მოწინააღმდეგისაგან მიიღო გაცემული სესხის ნაწილი, 4000 (ოთხი ათასი) ლარი. ასევე, ი. ბ. – ის განმარტებით, ხელწერილის შემდგენად მოხსენიებულია არა ის აღმასრულებელი, რომელიც მას მომსახურებას უწევდა, არამედ სხვა აღმასრულებელი, რაც, ამ შემთხვევაში, არ არის ლოგიკური.

1.4. 2014 წლის 19 აგვისტოს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ ადვოკატი ცრუ ინფორმაციის გავრცელებით ცდილობს საქმის კლიენტის სასარგებლოდ წარმართვას, ასევე, აჭიანურებს საქმის მსვლელობას სხვადასხვა „ხრიკებითა და ტყუილების საშუალებით.“

1.5. 2014 წლის 19 აგვისტოს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ საქმის გაჭიანურება გამომდინარეობდა ი. ბ. – ს კლიენტის ინტერესებიდან. ასევე, ი. ბ. – ის განმარტებით, დოკუმენტის შესაძლო გაყალბებაში ადვოკატის მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ გააჩნია და მისი მსჯელობა ეყრდნობა ლოგიკურ ვარაუდს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატმა ი. ბ. – მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2014 წლის 06 აგვისტოს. ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტის დავა ეხება სესხის დაბრუნების საკითხს. ადვოკატის განმარტებით, მისმა კლიენტმა წარმოადგინა ხელწერილი, რომლის თანახმად, ი. ბ. – მ, როგორც კრედიტორმა მიიღო ვალის ნაწილი, კერძოდ 4000 (ოთხი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის თანხა. ი. ბ. აღნიშნავს, რომ მისი კლიენტის მითითებით აღნიშნული თანხა საჩივრის ავტორს გადაეცა ერთ-ერთი აღმასრულებლის მეშვეობით.

2.2. ადვოკატის განმარტებით, საქმის მიმდინარეობისას იგი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების შესაბამისად, რისი ვალდებულებაც აქვს ადვოკატს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ი. ბ. – ს განცხადებით, მას არ მიუღია მონაწილეობა აღნიშნული დოკუმენტის შედგენაში, ხოლო მხარეების დავის მიზეზით ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება უსაფუძვლოა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი, ი. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი № / საერთო სპეციალიზაციით. ადვოკატის ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ი. ბ. – მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2014 წლის 18 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2014 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ბ. – ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ი. ბ. – ის პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატმა ი. ბ. – მ სასამართლოში წარადგინა ყალბი ხელწერილი, რომლის საშუალებითაც შეცდომაში შეჰყავს სასამართლო და მატერიალურ ზიანს აყენებს საჩივრის ავტორს.

5.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულის მიხედვით, ადვოკატთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებსა და ქცევის წესებს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის." კანონის მე-5-მე-9 მუხლები, ისევე როგორც ეთიკის კოდექსის ნორმები, განსაზღვრავენ ადვოკატის ქცევის წესებს კლიენტების, კოლეგების, სასამართლოსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა მიმართ, მაგრამ როდესაც ადვოკატი ასრულებს პროფესიულ ფუნქციას. ეთიკის კომისია პრაქტიკით უფრო მეტ სტანდარტს აწესებს ადვოკატებისთვის, როგორიცაა არა მარტო სასამართლო შენობაში, არამედ ნებისმიერ ვითარებაში პროფესიული ღირსების შენარჩუნებისა და საადვოკატო საქმიანობის პატივისცემის ვალდებულება, ისეთი ქმედებისაგან თავის არიდება, რაც ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

5.3 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებაში /დისციპლინური საქმე №025/12/ დაადგინა: ,,ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის, ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას," თუმცა სავარაუდო დარღვევის შეფასებისათვის განმსაზღვრელია არა ის, რომ პირი ადვოკატს წარმოადგენდეს, არამედ ის ადვოკატის სახით უნდა მოქმედებდეს და ირღვეოდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის პრინციპები.

5.4 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი მიუთითებს ადვოკატის მიერ ისეთი ქმედების შესაძლო განხორციელების შესახებ, რომლის განხილვა სცილდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას. კერძოდ, ადვოკატის მიერ ყალბი ხელწერილის შედგენა და/ან გამოყენება შესაძლოა უკავშირდებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას. აღნიშნული საკითხი სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

5.5 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში." შესაბამისად, საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის განხილვაზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე-33-ე მუხლებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ"დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით, მე-19, მე-20, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №048/14 ადვოკატ ი. ბ. – ს /სიითი № / მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/